# ხაშურის მოამბე

№47 (128) 27 ნოემბერი, ორშაბათი, 2017 წელი


## ქვიშხეთი-ზვარეს დამაკავშირებელი 8,5 კილომეტრიანი სარკინიგზო გვირაბის გათხრის სამუშაოები დასრულდა

საქართველოში სიგრძით ყველაზე დიდი, თითქმის 8,5 კმ-იანი გვირაბის გათხრის სამუშაოები დასრულდა. ქვიშხეთი-ზვარეს დამაკავშირებელი სარკინიგზო გვირაბი საზეიმო ვითარებაში საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გახსნა. გიორგი კვირიკაშვილის თქმით, რკინიგზის მოდერნიზების პროექტი მთავრობის 4-პუნქტიანი რეფორმების გეგმის ყველაზე მასშტაბური კომპონენტის - სივრცითი მოწყობის ნაწილია, რომლის განხორციელების შედეგად ქვეყანას ექნება სრულიად ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურა - ახალი და განახლებული რკინიგზის სადგურებით, პორტებით და აეროპორტებით, ტურისტული ინფრასტრუქტურით.

ახალი გვირაბი სარკინიგზო მაგისტრალის მასშტაბური რეაბილიტაციის შემადგენელი ნაწილია, რომელიც სრულად 2020 წელს დასრულდება.

მთავრობის მეთაურის შეფასებით, პროექტის განხორციელება უაღრესად მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ქვეყნის ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის.

"ამ მასშტაბური პროექტის განხორციელების შედეგად გაიზრდება სარკინიგზო ხაზის გამტარუნარიანობა, გაძლიერდება უღელტეხილის მონაკვეთზე მოძრავი შემადგენლობის უსაფრთხოება და, რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, შემცირდება მგზავრობის დრო და მატარებელი თბილისიდან ბათუმამდე მანძილს კიდევ უფრო მოკლე დროში დაფარავს. „საქართველოს რკინიგზა" ძალიან დიდ ძალისხმევას დებს, რათა რკინიგზის მოდერნიზაციის პროექტი დროულად და სტანდარტების სრული დაცვით განხორციელდეს. ჩვენი გათვლით, პროექტი 2020 წლისთვის დასრულდება. ასე რომ, თბილისი-მახინჯაურის მიმართულებით მალე ჩვენ გვექნება მოდერნიზებული სარკინიგზო ინფრასტრუქტურა, თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში", - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ამ მასშტაბური პროექტის განხორციელება არა მარტო საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებას ეყრდნობა, არამედ პროცესში ჩართული არიან უცხოელ ექსპერტთა, სპეციალისტთა და მშენებელთა ძალიან მნიშვნელოვანი

ჯგუფები.

პრემიერის შეფასებით, სწორედ ასეთია „ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიურო", რომელიც უღელტეხილის მონაკვეთზე რთული საინჟინრო ნაგებობების მშენებლობას ახორციელებს. გიორგი კვირიკაშვილმა მათ გაწეული სამუშაოსთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ პროექტს ზედამხედველობას უწევს ასევე საერთაშორისო ტენდერში გამარჯვებული კომპანია - ILF-ისა და International-ის კონსორციუმი.

"მინდა, აქვე ვისარგებლო შემთხვევით და რკინიგზის უკვე ყოფილ დირექტორს, მამუკა ბახტაძეს გადავუხადო დიდი მადლობა გაწეული, ძალიან მნიშვნელოვანი სამუშაოსთვის და ასევე, მინდა, ვუსურვო მას წარმატება იმ პოზიციაზე, რომელსაც იგი დღეს უკვე იკავებს - ფინანსთა მინისტრის პოზიციაზე; დარწმუნებული ვარ ამ წარმატებაში", - აღნიშნა პრემიერმა.

გიორგი კვირიკაშვილმა სიტყვით გამოსვლისას ქვეყნის განსაკუთრებულ გეოგრაფიულ მდებარეობაზე გაამახვილა ყურადღება. პრემიერ-მინისტრის თქმით, ის ფაქტი, რომ საქართველო არის ბუნებრივი დერეფანი ევროპასა და ცენტრალურ აზიას შორის, აქვს დიდი შესაძლებლობა, მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს რეგიონში, მათ შორის, ვაჭრობისა და ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვების მიმართულებით.

"ჩვენ გვაქვს საშუალება, დავიბრუნოთ ისტორიული ფუნქცია ახალი აბრეშუმის გზის ფარგლებში. ამდენად, ეს პროექტი უაღრესად მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალის ზრდის კუთხით. განვითარებული სატრანსპორტო და ლოჯისტიკური ინფრასტრუქტურა უმნიშვნელოვანესი ფაქტორია კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობისთვის და დიდი შესაძლებლობაა რეგიონალურ თუ საერთაშორისო დონეზე ბიზნესის წარმოებისთვის. მინდა ასევე აღვნიშნო, რომ თბილისი-მახინჯაურის სარკინიგზო მაგისტრალის პროექტი მნიშვნელოვანია ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის განვითარებისთვისაც. ეს ორი პროექტი ერთობლივად, ფუნდამენტურად შეცვლის საქართველოს სატრანზიტო პოტენციალს და ეკონომიკურ ლანდშაფტს, ამიტომ მათი წარმატებით განხორციელება არის ჩვენი ქვეყნის მთავარი ამოცანა. ეს არის პროექტები, რომლებმაც უდიდესი გარდატეხა უნდა მოახდინოს ქვეყანაში. ჩვენთვის ცნობილია, რომ ანაკლიის განვითარების კონსორციუმი მოლაპარაკებაშია ასევე ჩინურ კომპანიებთან. მინდა, საქართველოს მთავრობის სახელით ვთქვა, რომ ჩვენთვის მნიშვნელოვანი პრიორიტეტია, ამ პროექტში ჩინური მხარე ძალიან სერიოზულად იყოს წარმოდგენილი. სულ მალე, 28-29 ნოემბერს, საქართველოში ჩატარდება მნიშვნელოვანი ფორუმი, რომელსაც ჰქვია "ერთი გზა - ერთი სარტყელი". ეს ფორუმი გახლავთ ანარეკლი ჩინეთის მთავრობის, კონკრეტულად პრეზიდენტის ინიციატივისა, აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელის აღდგენის თაობაზე. ჩვენ ველოდებით წარმომადგენლობით დელეგაციას ჩინეთიდან, ჩინეთის მთავრობის წარმომადგენლებს და მოხარულნი ვიქნებით, განვიხილოთ ახალი ეკონომიკური ინიციატივები ამ პროექტის ფარგლებში. და ბოლოს, მინდა აუცილებლად აღვნიშნო, რომ თითოეული ინვესტიცია, თითოეული პროექტი ემსახურება ჩვენი ხალხის კეთილდღეობას. სწორედ ამიტომ, ჩვენ ვმუშაობთ გაათმაგებული პასუხისმგებლობით და მონდომებით. ჩვენ ორიენტირებული ვართ სწორად დაგეგმვასა და მაღალ ხარისხზე. ჩვენი ამოცანაა, ეფექტიანად გამოვიყენოთ ის პოტენციალი, რომელიც ქვეყანაშია და ჩვენს მოქალაქეებს შევუქმნათ მყარი გარანტიები სტაბილური, მშვიდი და უკეთესი ცხოვრებისათვის. მჯერა, რომ ჩვენ ამას აუცილებლად მივაღწევთ", - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

# ხაშურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის მოწვევის საკრებულომ მუშაობა დაიწყო

ხაშურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის მოწვევის საკრებულომ, 20 ნოემბერს, მუშაობა დაიწყო. ამ დღეს, ახალი მოწვევის საკრებულოს წევრები პირველად შეიკრიბენ და პირველი სესიაც შედგა.

საკრებულოს სხდომა, რომელსაც ხაშურის მუნიციპალიტეტის ახლადარჩეული მერი გიორგი გურასპაშვილიც ესწრებოდა, გახსნა ხაშურის №35 საოლქო საარჩევნო კომისიის თავჯდომარემ იმედო ლაცაბიძემ. უპირველეს ყოვლისა, მან საკრებულოს წევრებს მიულოცა ადგილობრივი არჩევნების წარმატებით დამთავრება და მადლობა გადაუხადა საოლქო და საუბნო კომისიების მთელ

შემადგენლობას ნაყოფიერი და უნაკლო მუშაობისთვის. შემდგომ სიტყვაში მან მოკლედ მიმოიხილა არჩევნების შედეგები და აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 48 556 ამომრჩევლიდან არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 19 351-მა ამომრჩეველმა. საარჩევნო ყუთებში ჩაყრილი ბიულეტინებიდან 1069 იქნება ბათილად ცნობილი და, აქედან გამომდინარე, საარჩევნო სუბიექტებისათვის მიცემული ხმების რაოდენობამ შეადგინა 18 246 ხმა. ცალკეულმა პარტიებმა კი ხმების საერთო რაოდენობის შემდეგი პროცენტი მიიღეს: ბაქრაძე-უგულავა-ევროპული საქართველო – 8,65 პროცენტი, დიმიტრი ლორთქიფანიძე, კახა კუკავა

– დემოკრატიული მოძრაობა – თავისუფალი საქართველო – 3,79 პროცენტი; გ.დ.მ. – 0,21 პროცენტი; ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – 20,84 პროცენტი; დავით თარხან მოურავი, ირმა ინაშვილი – საქართველოს პატრიოტთა ალიანსი – 10,24 პროცენტი; შალვა ნათელაშვილი – საქართველოს ლეიბორისტული პარტია – 8,33 პროცენტი; გიორგი ვაშაძე – ერთობა, ახალი საქართველო – 1,06 პროცენტი; თავისუფლება – ზვიად გამსახურდიას გზა – 0,82 პროცენტი და ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო – 46,05 პროცენტი.

სესიაზე დამსწრე საზოგადოებას მან იმ სუბიექტების ვინაობაც გააცნო, ვინც პარტიული სიებით თუ მაჟორიტარული წესით საკრებულოს წევრები გახდნენ.

– მაქვს პატივი, ხაშურის მუნიციპალიტეტის ახალი მოწვევის პირველი სხდომა გახსნილად გამოვაცხადო, აღნიშნა მან თავისი გამოსვლის ბოლოს.

ამის შემდეგ, კანონმდებლობიდან გამომდინარე, მან დაასახელა საკრებულოს ახალი შემადგენლობიდან უხუცესი წევრი ნოვე ტაბატაძე, რომელიც წარუძღვა პირველ სესიას.

სხდომის დასაწყისში, საკრებულომ დამთვლელი და სამანდატო დროებითი კომისიები აირჩია, რომელთაც, კანონიდან გამომდინარე, პროცედურების ჩატარების შემდეგ, საკრებულოს წევრთა და საკრებულოს უფლებამოსილების ცნობა ოფიციალურად გამოაცხადეს.

დღის წესრიგის შემდეგი საკითხი საკრებულოს თავჯდომარის არჩევა იყო. საკრებულოს წევრების მხრიდან, ამ პოსტზე დასახელდა მხოლოდ ერთი კანდიდატურა – მიხეილ ჯანაშვილი. დაინიშნა ფარული კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობაზე უარი განაცხადა ნაციონალური მოძრაობის სამმა წევრმა.

ხმის მიცემის შემდეგ, ხმების დამთვლელმა კომისიამ გამოაცხადა შედეგები: კენჭისყრაში მონაწილე საკრებულოს 28 წევრიდან, მიხეილ ჯანაშვილის კანდიდატურას მხარი დაუჭირა 27-მა. ამრიგად, საკრებულოს თავჯდომარედ არჩეულ იქნა მიხეილ ჯანაშვილი.

საკრებულოს ახლადარჩეულმა თავჯდომარემ მადლობა გადაუხადა საკრებულოს წევრებს ამ უდიდესი ნდობისათვის და განაცხადა, რომ იგი ძალასა და ენერგიას არ დაზოგავს მუნიციპალიტეტის კეთილდღეობისათვის ბრძოლაში. ამის შემდეგ, საკრებულოს სხდომას საკრებულოს ახლადარჩეული თავჯდომარე წარუძღვა და დღის წესრიგის მორიგი საკითხი გააცნო წევრებს. ეს საკითხი კი საკრებულოს თავჯდომარის მოადგილის არჩევა იყო, რომელიც

ასევე ფარული კენჭისყრით გადაწყდა. დასახელებულ სუბიექტს –ზურაბ ნოზაძეს კენჭისყრაში მონაწილე 28 წევრიდან (ნაციონალური პარტიის წარმომადგენლებმა კვლავ უარი თქვეს კენჭისყრაში მონაწილეობაზე) მხარი 24-მა დაუჭირა, ოთხი ბიულეტენი კი ბათილად იქნა ცნობილი. ამრიგად, ხაშურის მუნიციპალიტეტის თავჯდომარის მოადგილედ არჩეულ იქნა ზურაბ ნოზაძე. სესიაზე, ფარული კენჭისყრით, აირჩიეს კომისიების თავმჯდომარეები: დავით

გელაშვილი(სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია); ანა ხარებავა(სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია); ირინე გელაშვილი(სოციალურ საკითხთა კომისია); ზვიად ტეფნაძე(ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია) და მამუკა წიქარიშვილი(საფინანსო-საბიუჯეტო კომისია).

სესიაზე ცნობად იქნა მიღებული ორი ფრაქციის შექმნის შესახებ–"ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ფრაქციას უხელმძღვანელებს როინ მახარობლიძე და "ქართული ოცნების" ფრაქციას-ვაჟა ხარშილაძე. ამით ხაშურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის მოწვევის საკრებულოს პირველი სესია დასრულდა.

21 ნოემბერს, საკრებულოს მორიგი სესია გაიმართა, რომელსაც უძღვებოდა საკრებულოს თავჯდომარე მიხეილ ჯანაშვილი. საკრებულოს წევრებმა, სესიაზე, განიხილეს და დაამტკიცეს საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა რანგირების, თანამდებობრივი სარგოს განაკვეთები და საშტატო ნუსხა.

ამავე სესიაზე, საკრებულოს წევრებმა ცვლილებები შეიტანეს წინა მოწვევის საკრებულოს რამდენიმე განკარგულებში, რაც სხვადასხვა აუცილებლობიდან იყო გამომდინარე.

## ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე
## მიხეილ ჯანაშვილი

დაიბადა 1965 წლის 7 სექტემბერს, ქალაქ ხაშურში. აქვე დაამთავრა საშუალო სკოლა.

1982-1986 წწ. სწავლა გააგრძელა გორის ეკონომიკურ ინსტიტუტში.

1989-1991 წწ. მუშაობდა ხაშურის საფეიქრო-საგალანტერიო ფაბრიკაში საგე-

გმო განყოფილების ეკონომისტად;

1991-1993 წწ. -შსს ხაშურის დაცვის განყოფილების კადრების ინსპექტორად;

1993-1994 წწ. - ხაშურის რაიონის პროფცენტრის მთავარ ბუღალტრად;

1197-1999 წწ. - ქართლის მოძრავი საბაჟოს წამყვან ინსპექტორად;

1997-1999 წწ - მოძრავი რეგიონული საბაჟო, ექსპორტ-იმპორტისა და საბაჟო მომსახურების განყოფილების მთავარ ინსპექტორად;

1999-2002 წწ. გორის საბაჟო საწყობების მომსახურების სექტორის უფროსად;

2002-2005 წწ. საბაჟო „ჩრდილოეთის“ საბაჟო გაფორმების განყოფილების უფროს ინსპექტორად;

2007-2008 წწ -შემოსავლების სამსახურის რეგიონული საბაჟო „აღმოსავლეთის“ საბაჟო დამუშავების ოპერაციის განყოფილების ინსპექტორად;

2008 წ. - შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონული ცენტრის საბაჟო დამუშავების ოპერაციის სამმართველოს განყოფილების მთავარ ინსპექტორად. 2014 წელს აირჩიეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად კოალიცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ პროპორციული სიით;

2016 წლიდან იყო ამავე საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავჯდომარე;

2016 წელს აირჩიეს პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ რაიონული ორგანიზაციის აღმასრულებელ მდივნად.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

## ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე
## ზურაბ ნოზაძე

დაიბადა 1989 წელს, ქალაქ ხაშურში. 2006 წელს დაამთავრა თბილისის 207-ე საჯარო სკოლა.

2011 წელს დაამთავრა ქართულ-უკრაინული უნივერსიტეტი ეკონომისტის სპეციალობით. არის 2004 წლის მსოფლიო ჩემპიონი სამბოში;

2006 წლის ევროპის პრიზიორი;

2007-2010 წწ. საქართველოს ჩემპიონი ძიუდოში.

2013-2014 წწ. მოიხადა სამხედრო სავალდებულო სამსახური.

2012 წლიდან არის პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნების“ წევრი.

2014 წელს გახდა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, არჩეულ იქნა ფრაქციის თავმჯდომარედ, 2016 წლიდან კი იყო საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.

ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი.

# ხაშურელი ფერმერები ახალ ტექნოლოგიებს გაეცნენ

20-22 ნოემბერს, "ექსპო ჯორჯიას" 11-ე პავილიონმა, სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობის და გადამამუშავებელი და შემფუთველი ტექნოლოგიების რიგით 17-ე საერთაშორისო გამოფენას უმასპინძლა. წარმოდგენილი იყო, როგორც საქართველოს, ასევე, ლატვიის, პოლონეთის, უკრაინის, ბელორუსიის კვების

წარმოება და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანამედროვე შესაძლებლობები. წელსაც, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელშეწყობით, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხაშურის საინფორმაციო საკონსულტაციო სამსახურის ორგანიზებით, გამოფენაში ჩვენი მუნიციპალიტეტის 60-მა ფერმერმა და კოოპერატივის წევრმა მიიღო მონაწილეობა. ფერმერები გაეცნენ წარმოდგენილ ტექნიკურ შესაძლებლობებს, წარმოების თანამედროვე მეთოდებს, მიიღეს სხვადასხვა ტიპის საჭირო ინფორმაცია მწარმოებლებისგან, ისარგებლეს საინფორმაციო ბუკლეტებით.

**ჯემალ გელაშვილი** საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხაშურის საინფორმაციო - საკონსულტაციო სამსახურის უფროსი:

–ჩვენს ფერმერებს საშუალება მიეცათ გაცნობოდნენ მოწინავე ტექნოლოგიებს, ენახათ, როგორია წარმოებული პროდუქციის შეფუთვა და საბაზრო ღირებულებამდე მიყვანა. ვნახეთ, როგორ შეიძლება გამოხვიდე ბაზარზე, როგორ გაუკეთო რეკლამა, როგორ გაუწიო კონკურენცია. წარმოდგენილი იყო კახეთის, იმერეთის,

რაჭის, ქართლის, სამცხე-ჯავახეთის კვების მრეწველობის ნიმუშები, უკვე საბაზრო წარმეობაში ჩაშვებული. აგრეთვე, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, ინოვაციური სარწყავი სისტემები, რაც შემდგომში დიდი გამოცდილებას მისცემს ჩვენს ფერმერებს, რათა თანამედროვე საშუალებებით შეძლონ საკუთარი წარმოების გაფართოება და წარმოება.

აღნიშნული გამოფენები ემსახურება ქვეყნებს შორის ახალი ტექნოლოგიური მიღწევების გაცნობას.

- გამოფენა -

## დიმიტრი ყიფიანი - ეპოქის ხუროთმოძღვარი

გასულ კვირას, ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გაიხსნა დიმიტრი ყიფიანის ცხოვებისა და მოღვაწეობის ამსახველი ექსპოზიციების გამოფენა, სახელწოდებით "დიმიტრი ყიფიანი - ეპოქის ხუროთმოძღვარი". გამოფენა ხაშურის მხარეთმცოდნეობისა და ქვიშხეთის დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის ერთობლივი ძალისხმევით მოეწყო, მის მიზანს ერთგარი საგანმანათლებლო დატვირთვა აქვს და სკოლის მოსწავლეების აქტიურ ჩაბმას და მათი ცნობიერების ამაღლებას ემსახურება. გარდა წარმოდგენილი საინტერესო წერილების, ფოტოების, ნივთებისა, რომლებიც გარკვეულ მასალას იძლევიან დამთვარიელებლისთვის, ორგანიზატორებმა და დასწრე საზოგადოებამ ისაუბრეს

მის პიროვნულ თვისებებსა და სახელმწიფოებრივ აზროვნებაზე. გამოფენა რამდენიმე თვე გაგრძელდება.

**თამაზ ლაცაბიძე** (ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი):

დიმიტრი ყიფიანის ტრაგიკული აღსასრულიდან გავიდა 130 წელი, სწორედ ამ თარიღს ეძღვნება ეს გამოფენა სახელწოდებით "დიმიტრი ყიფიანი ეპოქის ხუროთმოძღვარი". დიმიტრი მართლაც გახლდათ ეპოქის ხუროთმოძღვარი. ეს გამოფენა ალბათ რამდენიმე თვე გაგრძელდება. გვინდა, რომ მას თან ახლდეს საგანმანათლებლო პროგრამა, ველოდებისთ სკოლის მოსწავლეების აქტიურობას ღია გაკვეთილების სახით. გამოცხადდება ესეების კონკურსი "ჩემი დიმიტრი ყიფიანი". რაც შეეხება გამოფენაზე წარმოდგენილ ექსპონატებს, ესენია ქვიშხეთისა და ჩვენს მუზეუმში დაცული საარქივო მასალა, წერილები, ფოტოები, საყოფაცხოვრებო ნივთები. მოგეხსენებათ, ქვიშხეთის დიმიტრი ყიფიანის მუზეუმში რესტავრაცია მიმდინარეობს, ამიტომ ეს გამოფენა იქნება ერთგვარი გენერალური რეპეტიცია, რესტავრირებული მუზეუმის გახსნისთვის.

## საყოველთაო ჯვრისწერის პროექტს ხაშურშიც აუბეს მხარი

საპატრიარქოსთან არსებული საქართველოს ჩოხოსანთა საზოგადოების

ინიციატივითა და საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, ჩვენს ქვეყანაში, ერთი თვის წინ დაიწყო საყოველთაო ჯვრისწერის პროექტი. როგორც ჩოხოსანთა საზოგადოებაში განაცხადეს, "დღეს ძალიან დიდი ზეწოლაა ოჯახზე. იმაზე, რომ ოჯახის ინსტიტუტი დაკნინდეს და წმინდა ოჯახი არ არსებობდეს. ეს პროექტი მიმართულია სწორედ ოჯახის გამყარებისკენ"...

პროექტმა უკვე მოიცვა სრულიად საქართველო, არც ჩვენი მუნიციპალიტეტია გამონაკლისი და ხაშურში უკვე რვა ასაკოვანმა წყვილმა დაიწერა ჯვარი. ჯვრისწერის რიტუალი, მეუფე სვიმეონის ლოცვა-კურთხევით, ხაშურის საკათედრო ტაძარში მამა ალექსიმ და მამა ნიკოლოზმა შეასრულეს. ჯვრისწერის ცერემონიალში მონაწილეობა მიიღეს ჩოხოსანთა საზოგადოების წევრებმა, რომლებმაც ძველი ქართული ტრადიციებით ძალზე გაულამაზეს ეს უმნიშვნელოვანესი დღე წყვილებს.

– თავისუფალი ჭიდაობა –

## წარმატება თბილისში

ნოემბრის მეორე დეკადაში, თბილისში, გაიმართა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, თენგიზ ღამბაშიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში, სადაც ხაშურელი სპორტსმენებიც იღებდნენ მონაწილეობას. ვახტანგ და გიორგი კვირიკაშვილების აღზრდილებს არაერთხელ უსახელებიათ ჩვენი მუნიციპალიტეტი და გამონაკლისი არც აღნიშნული ტურნირი ყოფილა, ახლაც, ლაშა ლომიძე (35კგ) და გიორგი ნოზაძე (47კგ) ოქროს მედლებს დაეუფლენ, საბა მიქელაშვილი (47კგ)-ვერცხლს, ხოლო გუჯიკო ლომიძე (35კგ) და გიორგი ცუცქირიძე (35 კგ) მესამე ადგილზე გავიდნენ.

## თამარ დეკანოიძის და აკაკი გრიგალაშვილის ხსოვნას

ორმოცი დღე გავიდა, რაც ოჯახი, მეგობრები, სოფელი გამოემშვიდობა ნაამაგარ პედაგოგს, შესანიშნავ მშობელს, მეგობარს, თამარ დეკანოიძეს.

ქალბატონი თამარი სოფელ ტკოცის საჯარო სკოლაში მუშაობდა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. ის იყო შესანიშნავი პედაგოგი, ღირსეული პატივისმცემელი და ქომაგი ქართული ენისა, კარგი მეუღლე და მშობელი, მეოჯახე.

ქალბატონი თამარი იყო მეუღლე აკაკი გრიგალაშვილისა, რომელიც ასევე იყო სოფელ ტკოცის საჯარო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი. მის სახელს უკავშირდება სკოლაში შესანიშნავი მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დაარსება, რომელიც დღესაც ფუნქციონირებს.

ისინი ცალ-ცალკე არასოდეს და არსად არ იყვნენ და დღესაც მათ ცალკე არავინ იხსენიებს სოფელში. ქალბატონი თამარი და ბატონი აკაკი დიდხანს ემახსოვრებათ მათ აღზრდილებს, სოფელს. ისინი ვალმოხდილი წავიდნენ ამ ქვეყნიდან. ღმერთმა ნათელი დაუმკვიდროთ ცათა სასუფეველში.

ლიანა ლომიძე,
სოფელ ტკოცის საჯარო სკოლის დირექტორი

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე". დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.